საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№455 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიეცეს უფლება მარტვილის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 92 816 (ოთხმოცდათორმეტი ათას რვაას თექვსმეტი) ლარი და „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 11 814 (თერთმეტი ათას რვაას თოთხმეტი) ლარი, ჯამში – 104 630 (ას ოთხი ათას ექვსას ოცდაათი) ლარი, მიმართოს დანართით გათვალისწინებული პროექტების დასაფინანსებლად.

2. ეთხოვოს მარტვილის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიის შესახებ ინფორმაცია (თითოეული ღონისძიების მითითებით) წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

№	პროექტის დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში,წაჩხურუს უბანში, წაჩხურუსა და ტალერის დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	4000
2	ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ზემო ნაგვაზაოში სკოლის წინ მდებარე მინისტადიონის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა	4000
3	ვედიდკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. მუხურჩაში რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	6689
4	ვედიდკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა	4240
5	დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეორე ნამიკოლაოს უბანში გარე განათების მოწყობა	2650
6	დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლედგებეს უბანში გარე განათების მოწყობა	2430
7	დიდიჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიდიჭყონის ცენტრიდან ოჩეს უბნის მიმართულებით გარე განათების მოწყობა	4320
8	აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულში,ლექაჯაიეს უბანში ციხესიმაგრესთან მისასვლელ გზაზე გარე განათების მოწყობა	4161
9	გაჭედილის ადმინისიტრაციულ ერთეულში, მეორე ბალდაში ბეტონის საფარისა და ცხაურის მოწყობა	9500
10	ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში,ბანძის ადმინისტრაციული შენობის უკან საპირფარეშოს მოწყობა	1370
11	თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში,პირველი ნამიკოლაოს უბანში ბოგირის მოწყობა და გზის მოწყობა	6930
12	ლეხაინდრაოს ადმინისტრაციულ ერთეულში გაბიონის მოწყობა	7050
13	კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში ჭალაღელეს უბანში ბეტონის გზის მოწყობა	8990
14	ტალერის ადმინისტარციულ ერთეულში არსებული წისქვილის რეაბილიტაცია	1300
15	ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ლეციცხვაიეში, თოფურიებისა და მონიავების უბნებში სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის მოხრეშვა	4820
16	სერგიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	2240
17	კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეორე კიწიაში სასაფლაოს მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარით მოწყობა	4530
18	ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭიჭაღუებისა და მოსიავების უბნების დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა და ცხაურის მოწყობა	4350

19	ნახუნაოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ცანავების უბანში არსებული ხიდბოგირის რეაბილიტაცია	5780
20	ონოღიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	3700
21	ქ. მარტვილში ნახარებაოს უბანში ჭყონდიდელის ქუჩაზე გარე-განათების სისტემის მოწყობა	6580
22	სოფ. ლეხაინდრაოს ამბულატორიის ეზოს კეთილმოწყობა	5000
სულ ჯამი		**104630**